ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 69

ქ. თეთრიწყარო 2019 წელი

ერთი მხრივ **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი** (შემდგომში ”შემსყიდველი”), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის გიორგი ქორიძის სახით და მეორე მხრივ შპს ,,ომეგა მ.ბ.რ.“ (შემდგომში ”მიმწოდებელი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის რამაზ ჩიჩუას სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 04 ივნისის N2532 განკარგულების (SMP190002434) საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. ”ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომში - ”ხელშეკრულება”) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარეხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ორი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი-შემსყიდველს.
1.2.”ხელშეკრულების ღირებულება” - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.
1.3. ”დღე” , ”კვირა”, ”თვე” - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4.”შემსყიდველი” - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5.”მიმწოდებელი”-პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6.”მომსახურება” - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის კომპანიის მიერ, ქ.თეთრიწყაროს მიმდებარედ რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით - 84.01.32.169) განთავსებული, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ გადმოცემული ქონების, (კონტეინერში დასაწყობებულ, დაკეტილ, დალუქულ მდგომარეობაში) დაცვის მომსახურების /CPV-79713000/ შესყიდვა.
2.2 დაცვა განხორციელდება 24 საათის განმავლობაში, ცვლაში დაცვის 2 (ორი) თანამშრომლის მეშვეობით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1.ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 3800.00 (სამიათას რვაასი ლარი და 00 თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს (დღგ-ს ჩათვლით).

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1. უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მომსახურების დასრულების შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, მათი წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.
4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შემსყიდველი მიმწოდებეს წარმოუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები:

- გაწეული მომსახურების დასახელება;
- გაწეული მომსახურების ღირებულება.

6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

6.1. მომსახურება განხორციელდება - ქ.თეთრიწყაროს მიმდებარედ რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით - 84.01.32.169.

6.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება: 2019 წლის 05 ივნისიდან 2019 წლის 05 ივლისის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1 შემსყიდველი ვალდებულია:

7.1.1 ხელშეკრულების ხელმოწერამდე დაცვით ორგანიზაციას, განუსაზღვროს (სიტყვიერად ან შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე) ობიექტის მთლიანი და მიმდებარე ტერიტორია.

7.1.2 საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ობიექტის გამაგრება, დაცვითი ორგანიზაციის მიერ მითითებულ ვადაში უზრუნველყოს ობიექტის სახურავის, ფანჯრების გისოსებით, კარების საკეტებით, ლუქების, ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების, სიგნალიზაციის მონტაჟი და ტექნიკური გამართვა.

7.1.3 შექმნას სათანადო პირობები მატერიალური ქონების საიმედო შენახვის უზრუნველსაყოფად და დაცვით ორგანიზაციასთან ერთად იმოქმედოს ობიექტის დაცვის ორგანიზაციის სრულყოფისათვის.

7.1.4 დასაცავი ობიექტი უზრუნველყოს:

7.1.4.1 ელექტროენერგიით შეუფერხებელი მომარაგება;

7.1.4.2 მცველებისათვის მოსასვენებელი ოთახის გამოყოფა, სანიტარული ნორმების და ობიექტის თავისებურების გათვალისწინებით.

7.1.5 15 (თხუთმეტი) დღით ადრე აცნობოს დაცვით ორგანიზაციას:

7.1.5.1 ხელშეკრულებაში ცვლილებების შესახებ;

7.1.5.2 დაცულ ტერიტორიაზე რაიმე სახის მშენებლობების შესახებ;

7.1.5.3 ისეთ შემთხვევებში, როდესაც შესაძლებელია მოხდეს დაცვის სისტემის, სასაშვო რეჟიმის, სამუშაო დროის, მცველთა საშტატო ერთეულების ცვლილებები, რისთვისაც შესაცვლელი იქნება საგუშაგოთა რაოდენობა და სხვა.

7.1.6 ობიექტზე დანაშაულებრივი ქმედების შემთხვევაში არ შევიდეს მასში დაცვითი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის გარეშე და მის გარეშე არ განახორციელოს მატერიალური ქონების აღწერა.

7.1.7 დაუყონებლივ აცნობოს დაცვით ორგანიზაციას მისთვის ცნობილ ყველა იმ გარემოებათა შესახებ, რაც შეიძლება მიუთითებდეს მოსალოდნელ საფრთხეზე;

7.1.8 ხელშეკრულების პირობებისა და ვადების შესაბამისად დროულად განახორციელოს ანგარიშსწორება დაცვით ორგანიზაციასთან.

7.2 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.2.1 აუცილებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების გაფორმებამდე დამკვეთისაგან ჩაიბაროს ობიექტის ტერიტორიის განმსაზღვრელი დოკუმენტაცია,

7.2.2 მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად განახორციელოს ობიექტზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით;

7.2.3 სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას ობიექტზე იმყოფებოდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული ფორმის ტანსაცმლით.

7.2.4 სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას აღმოჩენილი მართალსაწინააღმდეგო ქმედებების დაფიქსირების შემთხვევაში დაუყონებლივ აცნობოს როგორც დამკვეთს, ასევე საჭიროებისამებრ კომპეტენტურ ორგანოებს.

7.2.5 დაცვითი ორგანიზაცია პასუხისმგებლობას არ კისრულობს:

7.2.5.1 ზარალზე, რომლის დადგომის მიზეზი იყო დამკვეთის დაუდევრობა;

7.2.5.2 ობიექტის ტერიტორიის გარეთ დარჩენილ ფასეულობებზე.

7.2.5.3 იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთის მიერ არ იქნება შესრულებული წინამდებარე ხელშეკრულების 7.1.1; 7.1.2; 7.1.3; 7.1.4; 7.1.5; 7.1.6; 7.1.7 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

7.3 მხარეთა ურთიერთუფლება-მოვალეობები:

7.3.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან ერთობლივად განახორციელონ ობიექტის დათვალიერება სათანადო აქტის შედგენით ხელშეკრულების დადებამდე, საჭიროების შემთხვევაში ობიექტის თავისებურებიდან გამომდინარე. აღნიშნული დათვალიერების შედეგად ობიექტზე გამოვლენილი ხარვეზების თაობაზე დაცვითი ორგანიზაციის მიერ წაყენებული მოთხოვნა შესასრულებლად სავალდებულოა დამკვეთისთვის და მისი შეუსრულებლობა ათავისუფლებს დაცვით ორგანიზაციას წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი პასუხისმგებლობისაგან.

7.3.2 ხელშეკრულებაში და ჩამონათვალში მითითებული ქვეობიექტებისა და საცავების მიღება-ჩაბარება ხდება დალუქულ მდგომარეობაში ერთობლივად უფლებამოსილი პირების მიერ, მიღება-ჩაბარების ჟურნალში ხელის მოწერით. ლუქის დაურღვევლობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსრულებელს.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ბერდია ხვისტანი.
8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.
8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზრაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20 %-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
10.2. ხელსეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და დაერთვება ხელშეკრულებას.
10.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
10.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
10.6. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.5. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
10.7. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს - მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი, რაც დადასტურებულია სათანადო ორგანოს მიერ.
11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
11.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კონპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. შეტყობინება

13.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
13.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

15. სხვა პირობები

15.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
15.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 01 სექტემბრის ჩათვლით.

17. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები

“შემსყიდველი”

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. N34
ს/კოდი: 230869254
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ა /ა GE24NB0330100200165022

“მიმწოდებელი”.

შპს ,,ომეგა მ.ბ.რ.“
ქ.თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, მელიქიშვილის ქ., №1
ს/კოდი: 206178447
სს ვითიბი ბანკი (საქართველო)
ბანკის კოდი: UGEBGE22
ა/ა GE15VT7000000043703608

TETRITSKARO MUNICIPALITY
Digitally signed by TETRITSKARO MUNICIPALITY
Date: 2019.06.05 14:38:59 +04'00'

_____

გიორგი ქორიძე

მუნიციპალიტეტის მერი

რამაზ ჩიჩუა

შპს ,,ომეგა მ.ბ.რ.“-ს დირექტორი

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080161590252619

№ 2532 04 / ივნისი / 2019 წ.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 31 მაისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის SMP190002434 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს, უძრავი ქონების, 24 საათიანი დაცვის მომსახურების (CPV- 79700000 - გამოძიებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებები; 79710000 - უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებები) შესყიდვას.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის კომპანიის მიერ, ქალაქ თეთრიწყაროს მიმდებარედ რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონების დასაცავად, საჭიროა 24 საათიანი დაცვის მომსახურების შესყიდვა. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის 30 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით მომსახურების ვადა განისაზღვრა 2019 წლის 1 თებერვლიდან 2019 წლის 31 მაისის ჩათვლით, შესაბამისად 1 ივნისიდან საჭიროა გაფორმდეს ახალი ხელშეკრულება.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა გამოიწვია, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამ. აღსანიშნავია, რომ შექმნილი ვითარება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს, შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას, კერძოდ, შესყიდვის განუხორციელებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს მიწის ნაკვეთზე არსებული მატერიალურ ტექნიკური ბაზის/ქონების განზრახ განადგურება, ქურდობა, ყაჩაღობა ან სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს მუნიციპალიტეტს. შესაბამისად, საჭიროა შესყიდვა განხორციელდეს დროულად.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა გამოიწვია, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამ. აღსანიშნავია, რომ შექმნილი ვითარება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს, შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას, კერძოდ, შესყიდვის განუხორციელებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს მიწის ნაკვეთზე არსებული მატერიალურ ტექნიკური ბაზის/ქონების განზრახ განადგურება, ქურდობა, ყაჩაღობა ან სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს მუნიციპალიტეტს. შესაბამისად, საჭიროა შესყიდვა განხორციელდეს დროულად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოცემული შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1.დაკმაყოფილდეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის SMP190002434 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია

ქ. თეთრიწყარო

31/05/2019

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 913

913-13-4-201905311559

https://edocument.ge/KvemoKartli/public/#/

ბაქო - თბილისი - ჯეიჰანის კომპანიის მიერ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის უსასყიდლოდ გადმოცემული ქ. თეთრიწყაროს მიმდებარედ ს/კ 84.01.32.169 - ით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე განთავსებული ქონების დაცვის მომსახურების გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54 - ე მუხლის 1 - ლი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე - 3 მუხლის, პირველი პუნქტის ,,ლ“ ქვეპუნქტის და მე - 10^1 მუხლის მე - 3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე - 3 მუხლის 1 - ლი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და მერიის ადმინისტრაციული სამსახურის 2019 წლის 31 მაისის N1631 წერილის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.ბაქო - თბილისი ჯეიჰანის კომპანიის მიერ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის უსასყიდლოდ გადმოცემული ქ. თეთრიწყაროს მიმდებარედ ს/კ 84.01.32.169 - ით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე განთავსებული ქონების დაცვის მომსახურების (cpv – 79700000) შესყიდვა, რომელთა სავარაუდო ღირებულება შეადგენს 3800 (სამი ათას რვაას) ლარს (დღგ - ის ჩათვლით), გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. დაევალოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის შესყიდვების განყოფილების მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსს შესაბამის სახელმწიფო შესყიდვამდე, გამარტივებული შესყიდვის განხორციელება შეათანხმოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან, შესყიდვების მარეგულირებელი მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით.
3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობის შემდეგ, მერიის საფინანსო - საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურმა მოამზადოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი და წინამდებარე ბრძანების სამართლებრივი აღსრულების გზით, უზრუნველყოს მოქმედი შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის სრული დაცვით, შესაბამისი გამარტივებული შესყიდვის განხორციელება.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. კონტროლი წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მერის პირველ მოადგილეს მალხაზ სამაშვილს.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) მისი გაცნობის დღიდა

გიორგი ქორიძე

მუნიციპალიტეტის მერი
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია